

**ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების დანართში  
N5-ბარათი შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება და დამატებები:**

1. შეიცვალოს **5.15.8. ქვეპუნქტი** და განისაზღვროს შემდეგნაირად:

„5.15.8. გაითვალისწინოს, რომ **კლიენტის** მიერ Apple Pay / Google Pay საგადახდო აპლიკაციაში შენახული/დამახსოვრებული **ბარათი (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები)** შენახულია/დამახსოვრებულია Apple Pay / Google Pay საგადახდო აპლიკაციის შესაბამის Apple ან Google ანგარიშზე, შესაბამისად თუ მისი Apple ან/და Google ანგარიში (Apple Account / Google Account) ხელმისაწვდომია საგადახდო აპლიკაციით აღჭურვილ რამდენიმე მოწყობილობაზე ან/და ინტერნეტ საძიებო სისტემაში, მაშინ **ოპერაციის** შესრულება შესაძლებელია თითოეული ასეთი მოწყობილობის/სისტემის გამოყენებით;”

2. დაემატოს **5.15.9. ქვეპუნქტი** და განისაზღვროს შემდეგნაირად:

„5.15.9. გაითვალისწინოს, რომ ინტერნეტ საძიებო სისტემის ან/და საგადახდო აპლიკაციის წაშლა არ იწვევს Apple ან Google ანგარიშიდან (Apple Account/Google Account) **ბარათის (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემების)** წაშლას. ამასთან, თუ **კლიენტს** სურს რომ წაშალოს დამახსოვრებული/შენახული **ბარათი (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები)** რათა შეუძლებელი იყოს **ოპერაციის** განხორციელება, **კლიენტი** ვალდებულია წაშალოს **ბარათი (ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემები)** შესაბამისი Apple /Google ანგარიშიდან (რომლის განხორციელებაც ასევე შესაძლებელია შესაბამისი საგადახდო აპლიკაციის გამოყენებით) ან დაუკავშირდეს **ბანკს/გამოცხადდეს ბანკში** პირადად და მოითხოვოს **ბარათის** დაბლოკვა.”